20/08/2025

MES 3 25 0001002143

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2025 წლის **8 აგვისტოს 12:00 საათზე.**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=89549028168
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:
ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი/ საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი;.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ირმა ქორთუა
მიმოზა ღოლიჯაშვილი
ინგა ბაქრაძე
თეა ნარეკლიშვილი
ქეთევან ღვანიძე
მანანა მოისწრაფიშვილი
თამარ ჯანგულაშვილი
ცოტნე ქორჩილავა
ეკა ბუთხუზი
ტიტე ბოლქვაძე
ხათუნა ჩომახიძე
მზია ბაკურიძე
ზურაბ მესხიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
რექტორი- სოფიო მაჭარაშვილი
რექტორის მოადგილე - ილია იაკობაშვილი
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ზურაბი ლობჟანიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ალინა კუპრავა

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე "აღმზრდელი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ადმინისტრაციული სერვისები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "Front-end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ტვირთების ექსპედირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
9. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
10. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

ნათია ბუთხუზმა განმარტა, რომ მას ჰქონდა თვითაცილება აღნიშნულ დაწესებულებასთან დაკავშირებით, ამიტომ ვერ მიიღებდა მონაწილეობას შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებების განხილვასა და ხმის მიცემის

პროცესში. აღნიშნული თვითაცილება ვრცელდებოდა სხდომაზე შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვაზე, რის თაობაზეც ნათია ბუთხუზმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს ჰკითხა, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა ქორთუა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა შემდეგი განაცხადებით: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – ფარმაცია „სააფთიაქო“ დამატება; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე – „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და „აღმზრდელი“ – პროფესიული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა. დამატებით, განაცხადებში მითითებულია, რომ აღნიშნული პროგრამების (ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში – გაზრდილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტებისთვის) სწავლება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ქუთათელაძის 1 გასასვლელი, N10. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფართი აქამდე არ გამოიყენებოდა ავტორიზაციის მიზნებისთვის. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N816692 -04.07.2025 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ქ. თბილისში, (ქ. თბილისი; გ. ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10) მონიტორინგის ვიზიტი (არაგეგმიური მონიტორინგი) საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) კომპონენტის და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
5.1.2.1 ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან ერთის მხრივ, დაწესებულებას ჯერ არა აქვს წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და მეორეს მხრივ, დაწესებულების

მხრიდან წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით შესრულების ვადები რეალისტურია, დაწესებულებას უკვე გაგზავნილი აქვს განაცხადი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.2 დაწესებულების ცენტრალიზებული მართვის მოდელი და ფუნქციების გადანაწილება უზრუნველყოფს ყველა ფილიალის ეფექტურ მართვას, თუმცა სასურველია აღნიშნული მართვის მოდელი ვიზუალურად იქნეს ასახული დაწესებულების სტრუქტურაში. მაგ., ფუნქციები და დაქვემდებარებები ცალკე იქნეს გამოყოფილი ქ. თბილისის ფილიალებისთვის/ლოკაციებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მართვის მოდელის უკეთ აღქმას.

5.2.2.1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულება შემოსული კორესპონდენციის, გასული კორესპონდენციის, შიდა დოკუმენტაციის (სამსახურებრივი ბარათი, მოხსენებითი ბარათი, ახსნაგანმარტებითი ბარათი, განცხადება და სხვ.) მართვას ახორციელებს ელექტრონული ფორმით eflow-ს სისტემაში, ხოლო ბრძანებების, ხელშეკრულებების/მემორანდუმების, ოქმების აღრიცხვას აწარმოებს მატერიალური ფორმით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასურველია, დაწესებულებამ ყველა ტიპის დოკუმენტაცია (მაგ. ბრძანებები) ატვირთოს ელექტრონულ ფორმატში Eflow-ს სისტემაში, რაც გაამარტივებს დოკუმენტებთან მუშაობის პროცესს და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო შენახვას, დოკუმენტაციის დაარქივებას ერთიან სივრცეში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა სივრცის ვიზუალური დათვალიერება და გაესაუბრა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

შემოწმდა მეოთხე და მეხუთე სტანდარტის შემდეგი კომპონენტები:

4.1 – პერსონალისა და პროცესების მართვა;
5.1 – მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;
5.2 – საინფორმაციო რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით. ფუნქციური გადანაწილება ეფუძნება ცენტრალიზებულ მართვის მოდელს, რომელიც ვრცელდება ყველა ფილიალზე. დანერგილია გუნდის მონაწილეობითი მუშაობის მექანიზმები და შერჩევის, შეფასებისა და ადაპტაციის ეფექტური პროცედურები.

კოლეჯის სტრუქტურით, რექტორს ჰყავს 2 მოადგილე (1 - საჩხერეში და 1 - თბილისში). დაწესებულებაში დაქვემდებარების სისტემა დელეგირებულია რექტორსა და მის 2 მოადგილეს შორის. განყოფილებები/ფილიალები ძირითადად იმართება ცენტრალიზებულად. რექტორის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი პერსონალი ცენტრალიზებულად მართავს ყველა ფილიალს, კერძოდ ეს პოზიციებია: საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, საქმისწარმოების მენეჯერი, მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რეესტრის წარმოების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, სოციალური მედიის სპეციალისტი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ფინანსური მენეჯერი. დანარჩენი პოზიციები ექვემდებარებიან რექტორის 2 მოადგილეს. ცენტრალიზებული მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ გარკვეული პოზიციებისთვის, მათი ფუნქციების ნაწილი შეუთავსა ფილილიალებში არსებულ საშტატო ერთეულებს, კერძოდ: ახალ მისამართზე სასწავლო

პროცესის მართვის მენეჯერს შეთანხმებით განესაზღვრა საქმისწარმოების გარკვეულ ფუნქციების შეთავსება, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს ბიბლიოთეკარის გარკვეული ფუნქციების შეთავსება. დანართი 2-ით მოცემულია თითოეული პოზიციის მიხედვით ფუნქციების აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექპერტთა ჯგუფმა აღნიშნული საკითხის ფარგლებში გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ, დაწესებულების ცენტრალიზებული მართვის მოდელი და ფუნქციების გადანაწილება უზრუნველყოფს ყველა ფილიალის ეფექტურ მართვას, თუმცა სასურველია აღნიშნული მართვის მოდელი ვიზუალურად იქნეს ასახული დაწესებულების სტრუქტურაში. მაგ ფუნქციები და დაქვემდებარებები ცალკე იქნეს გამოყოფილი ქ. თბილისის ფილიალებისთვის/ლოკაციებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მართვის მოდელის უკეთ აღქმას.

დაწესებულება ახალ კოლაციაზე განახორციელებს სასწავლო პროცესს შესაბამისი ინფრასტრუქტურის პირობებში. აუდიტორიები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული და საერთო სარგებლობის სივრცეები სრულად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის, უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, გათბობა, ვენტილაცია და განათება. ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს, თუმცა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა ვიზიტის მომენტში არ იყო წარმოდგენილი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, დამტკიცებული აკადემიის რექტორის 2025 წლის 11 ივლისის N2/106 ბრძანებით, შესრულების ვადა 10/11 2025; (4 თვე). დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობაში დამონტანჟებულია სახანძრო ინვენტარი/აღჭურვილობა ყველა სართულზე. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილია განაცხადი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მისაღებად. აქედან გამომდინარე, 5.2.2.1 ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან ერთის მხრივ, დაწესებულებას ჯერ არა აქვს წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და მეორეს მხრივ, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის შესრულების ვადები რეალისტურია, დაწესებულებას უკვე გაგზავნილი აქვს განაცხადი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა პერსონალისა და სტუდენტებისთვის. გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eFlow), ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ინტერნეტსერვისი და სხვა ციფრული პლატფორმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვა და IT რისკების მართვა სრულდება დადგენილი წესით. საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საინფორმაციო არხები ეფექტურად გამოიყენება როგორც შიდა, ასევე გარე კომუნიკაციისთვის. რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-167 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. დოკუმენტით რეგულირდება შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნის მიდგომები, დოკუმენტების შედგენის, გაგზავნას, ინდექსებისა და რიგითი ნომრების მინიჭების, ბეჭდების გამოყენების, საარქივო დოკუმენტების ადმინისტრირების წესები. აკადემიის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაშია საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან. ექპერტთა ჯგუფმა აღნიშნული საკითხის ფარგლებში გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ, სასურველია, დაწესებულებამ ყველა ტიპის დოკუმენტაცია (მაგ. ბრძანებები) ატვირთოს ელექტრონულ ფორმატში Eflow-ს სისტემაში, რაც გაამარტივებს დოკუმენტებთან მუშაობის პროცესს და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო შენახვას, დოკუმენტაციის დაარქივებას ერთიან სივრცეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით
საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, რომ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ერთ ნაწილში აღნიშნულია, თითქოს დოკუმენტურად სწორად არის წარმოდგენილი სტრუქტურა, ამავდროულად გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია. საბჭოს წევრმა განმარტება მოითხოვა, ეხებოდა თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია პროცესის გამართვას.

ექსპერტმა ირმა ქორთუამ განმარტა, რომ ექსპერტები რეკომენდაციას აძლევენ დაწესებულებას სტურტურისკიდევ უფრო დახვეწის მიზნით. ადმინისტრაციის ფუნქციებთან მიმართებით პრობლემა არ იკვეთება და სტრუქტურადოკუმენტურად გამართულია, თუმცა ლოკაციების მითითებით ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ დაქვემდებარებები მარტივად აღქმადი იყოს. მისი თქმით, მომავალში სტრუქტურის უფრო მარტივად აღსაქმელად მისი გაუმჯობესება უკეთესი იქნება. შინაარსობრივად პრობლემა არ არსებობს და რეკომენდაცია ეხება მხოლოდ აღქმის გამარტივებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა ახალი მისამართზე სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტისთვის განსაზღვრული გარკვეული ფუნქციების, მათ შორის ბიბლიოთეკარის ფუნქციების, შესახებ. მან იკითხა, შეამოწმეს თუ არა ექსპერტებმა, აქვს თუ არა აღნიშნულ პირს შესაბამისი სერტიფიკატი ან განათლება ბიბლიოთეკარის ფუნქციების შესასრულებლად.

ექსპერტმა ირმა ქორთუამ განმარტა, რომ აღნიშნულ პირს არ აქვს სერტიფიკატი ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა ამის არსებობა არც არის საჭირო. მისი თქმით, სერტიფიკატი არ არის აუცილებელი იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც მოიცავს მხოლოდ ბიბლიოთეკაში არსებული მასალების მიღებასა და გაცემას. დანარჩენ პროცესებს ცენტრალიზებულად ახორციელებს ბიბლიოთეკარი. აღნიშულ შემთხვევაში, განსაზღვრულია მხოლოდ იმ ფუნქციების ნაწილი, რომელიც ბიბლიოთეკარის მაღალი კომპეტენციის საჭიროებას არ მოითხოვს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება 5.2.2.1 ინდიკატორის განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ბრძანებების Eflow სისტემაში გატარებას. მისი თქმით, დაწესებულება ბრძანებებს ამუშავებს მატერიალურად. მიუხედავად იმისა, რომ შიდა დოკუმენტაცია იტვირთება Eflow სისტემაში, ბრძანებები მხოლოდ მატერიალური ფორმით იმართება. ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ეს შესაძლოა არასასურველი პრაქტიკა იყოს, რადგან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები რჩება სისტემის მიღმა, რაც თავის მხრივ ზღუდავს პროცესების ანალიზისა და მონიტორინგის შესაძლებლობას.

ექსპერტმა ირმა ქორთუამ აღნიშნა, რომ ასეთი რისკი რეალურად არსებობს და დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა კანონი არ ავალდებულებს აღნიშნული პრაქტიკის შეცვლას, რის გამოც ეს საკითხი განმავითარებელ რეკომენდაციად ჩაიწერა.

დაწესებულების რექტორმა, სოფიო მაჭარაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ ბრძანებებთან დაკავშირებით არ სურს შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დაწესებულება არ მუშაობს ღიად და გამჭვირვალედ. მისი განმარტებით, კერძო კოლეჯები თავიდანვე გვიან ჩაერთნენ Eflow სისტემაში და დაწესებულებას რამდენიმე მომხმარებელი ჰყავს. რადგან ზოგჯერ სისტემა შეფერხებით მუშაობს და ბრძანებები მნიშვნელოვან დოკუმენტებად არის აღქმული, დაწესებულება თავს არიდებს იმ რისკს, რომ შეფერხების შედეგად პრობლემები წარმოიშვას. რექტორის თქმით, მომავალში დაწესებულებაც გააუმჯობესებს მუშაობას და თუ საჭიროდ მიიჩნევენ, ბრძანებებს Eflow-ში სრულად

გაატარებენ. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბრძანებები დაცულად ინახება, დარეგისტრირებულია ჟურნალში და ამ მიმართულებით კოლეჯს არანაირი პრობლემა არ აქვს. ასევე აღნიშნა, რომ სტრუქტურის ვიზუალიზაციაც გაუმჯობესდება, მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა და რეავტორიზაციის პროცესში სტრუქტურა ვიზუალურად გამართული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ს/კ: 406056173) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტების გამოთხოვა, მონიტორინგის თარიღად - 2025 წლის 12 ნოემბერი.

მეორე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 5 ივლისს გამოცემული N816683 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ქ თბილისში, გ.ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია”(სააფთიაქო) პროგრამის დამატებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და ადგილზე

ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შესრულების შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში 17 ივლისს წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის აკადემიის რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესიული განათლების პედაგოგებს, პარტნიორი კომპანიის - პსპ წარმომადგენელს. ასევე ვიზუალურად შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსები. ასევე ექსპერტები ადგილზე გაეცნენ დამატებით დოკუმენტაციებს, რომელიც ვიზიტამდე არ იყო წარმოდგენილი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამატების თაობაზე დეტალურად დამუშავებული და არსებულ მოთხოვნებზე მორგებული განაცხადი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების კომპონენტები და ყველა ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი. დაწესებულებამ პროგრამის შემუშავება მოახდინა შრომის ბაზრის ანალიზის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით. წარდგენილი იყო კვლევის შედეგები და დასაბუთებული არგუმენტები, რაც მოწმობს, რომ პროგრამის შექმნის პროცესში გათვალისწინებულია როგორც სისტემური საჭიროებები, ისე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამა აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2025 წლის 22 მაისის რექტორის N2/71 ბრძანებით დამტკიცებული 2.2.1.1.სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვების დოკუმენტაციების მიხედვით, შესაბამისობის გეგმა სრულადაა შესრულებული. პროგრამისთვის განსაზღვრულია A, B, AC1 და AC2 გარემო, რომელიც სრულადაა აღჭურვილი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:
1. AC-1 -ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია: მაგიდა 30 პროფესიულ სტუდენტზე; პროფესიული სტუდენტის სკამი 30 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც; პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, აღჭურვილობა;
2. სასწავლო გარემო AC -სასწავლო გარემო C 2 -ფარმაცევტული ლაბორატორია(სიმულაციური აფთიაქი): პროფესიული სტუდენტის მაგიდა 30 პროფესიულ სტუდენტზე; პროფესიული სტუდენტის სკამი 30 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც; პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, აღჭურვილობა;
3. სასწავლო გარემო B (ზოგადი მოდულებისთვის): პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; სამუშაო ადგილი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის 30 ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც; პრინტერი(კომბაინი) 1ც; ფლეშმეხსიერება 1ც.
4. სასწავლო გარემო A: პროფესიული სტუდენტის მაგიდა 30 პროფესიულ სტუდენტზე; პროფესიული სტუდენტის სკამი 30 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც;

კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც;
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია”(სააფთიაქო) პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს პსპ-სთან (15 მაისი 2025წ; #5/75) 2031 წლის 1 იანვრამდე. მემორანდუმი ითვალიწინებს 150 პროფესიული სტუდენტის მიღებას ერთდროულად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (2 წელი), კვირაში 5-6 დღე. პროფესიული/დარგობრივი მოდულების დასახელება (8 მოდული) და მოცულობა მოცემულია მემორანდუმის დანართი#1

დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული სასწავლო გარემო და საჭირო ტექნიკური ბაზა. წარმოდგენილია მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციასთან – აფთიაქების ქსელ პსპ-სთან, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის შესრულებას რეალურ სამუშაო გარემოში. ადამიანური რესურსები დაკომპლექტებულია კომპეტენტური კადრებით, ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, შენობა ადაპტირებულია შშმ სტუდენტებისთვის.

დაწესებულებას გააჩნია პროგრამის შიდა შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა მეშვეობით რეგულარულად ხდება განხორციელებული აქტივობების ანალიზი, გამოკვეთილი საკითხების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება. პროცესში ჩართულია ადმინისტრაცია, განმახორციელებელი პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები. პროგრამის განვითარება ემყარება დაგეგმვისა და მონიტორინგის ციკლს.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით. სწავლა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს, მათ შორის სააფთიაქო გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას. უზრუნველყოფილია სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის შშმ პირთა ხელმისაწვდომობა. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, ვალიდური და მოიცავს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების კრიტერიუმებს, ასევე, სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების გადამოწმების მექანიზმებს
.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამა სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის **მე-2 სტანდარტის** ყველა კომპონენტს. ვიზიტისას ხარვეზები ან შეუსაბამობები არ გამოვლენილა. ასევე, არ გაცემულა არც შესაბამისობის და არც განმავითარებელი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ფარმაცია (სააფთიაქო)"**(დანართი 1)**

მესამე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

მეოთხე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე "აღმზრდელი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 4 ივლისის N823377 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 18 ივლისს განახორციელა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (მისამართი: გ. ქუთათელაძის I გასასვლელი №10), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე „აღმზრდელი“ და „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შესაბამისობის შესაფასებლად. დაწესებულებამ ცენტრს მიმართა მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ორივე პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის თაობაზე. აკადემია ახორციელებს აღნიშნულ პროგრამებს 2021 წლიდან („აღმზრდელი“) და 2018 წლიდან („შრომის უსაფრთხოება...“) წერონისის ქ. №208 მისამართზე. გაზრდილი კონტიგენტის განთავსების მიზნით, დამატებულია ახალი სასწავლო სივრცე შემდეგ მისმართზე: გ. ქუთათელაძის ქ. I გასასვლელი N10. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის დღეს, ექსპერტები გაეცნენ შესაბამის დოკუმენტაციას, ჩაატარეს შეხვედრები ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინა იდენტიფიცირებული ძირითადი მიგნებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელი“** ხორციელდება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში 2021 წლიდან, უწყვეტად. პროგრამაზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულებამ მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა, რაც მოიცავდა დამატებით სტუდენტების მიღებას ახალ ლოკაციაზე – ქ. თბილისი, გურამ ქუთათელაძის I გასასვლელი N10. კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, საერთო რაოდენობა შეადგენს 140 სტუდენტს (80 სტუდენტი წერონისის მისამართზე და 60 სტუდენტი ახალ მისამართზე), კოოპერაციული სწავლების ფორმატით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ახალი ლოკაცია უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით. ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსები, სტუდენტებისთვის შექმნილია უსაფრთხო და მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო. ადამიანური რესურსები დაკომპლექტებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრებით, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები.

პროგრამისთვის გამოყოფილია: 1. სასწავლო გარემო A -30 პროფესიულ სტუდენტზე. სართული მე3 ოთახი 8 მხოლოდ პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის 2 ცვლის გათვალისწინებით. კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი 1 ც; დაფა 1ც; მაგიდა და სკამი პედაგოგისთვის, კარადა რესურსებისთვის. მაგიდა და სკამი 30 პროფესიული სტუდენტისთვის.
სასწავლო გარემო B - 30 პროფესიულ სტუდენტზე. მეორე სართულზე აუდიტორია 4 - კომპიუტერული კლასი 30 პროფესიულ სტუდენტზე, 30 კომპიუტერით, 30 მაგიდა- სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც. B სასწავლო გარემო გამოყოფილია 3 პროგრამის 13 ჯგუფისთვის. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე დაანგარიშებულია აღნიშნული გარემოს გამტარიანობა და B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში 1 ჯგუფთან სწავლების შემთხვევაში დატვირთული იქნება საშუალოდ 5%-ით.
პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებამ 2025 წლის 21 მაისს გააფორმა ხელშეკრულებები 5 საბავშვო ბაგა-ბაღთან. ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლიობა ყველა პრაქტიკის ობიექტთან 6 წელია და თითოეულ ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა რეალისტურად ასახავს დაგეგმილ ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამა **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** ხორციელდება 2018 წლიდან. ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის საფუძველზე, დაგეგმილია პროგრამის გაშლა ორივე ლოკაციაზე: წერონისის ქ. №208-ზე განთავსდება 180 სტუდენტი, ხოლო გ. ქუთათელაძის I გასასვლელი №10 მისამართზე – 150 სტუდენტი. საერთო ჯამში, კონტიგენტის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 330 პროფესიულ სტუდენტს, კოოპერაციული სწავლების ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ახალი ლოკაცია უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით. ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსები, სტუდენტებისთვის შექმნილია უსაფრთხო და მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო. ადამიანური რესურსები დაკომპლექტებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრებით, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები.

პროგრამისთვის გამოყოფილია:

სასწავლო გარემო A-C პირველი სართული, აუდიტორია #2, 3 ცვლის გათვალისწინებით, 50 პროფესიულ სტუდენტზე. კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი 1 ც; დაფა 1ც; მაგიდა და სკამი პედაგოგისთვის, კარადა რესურსებისთვის. მაგიდა და სკამი 50 პროფესიული სტუდენტისთვის. სწავლებისთვის საჭირო რესურსები სტუდენტებისზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით. • სასწავლო გარემო B - მეორე სართულზე აუდიტორია 4 - კომპიუტერული კლასი 25 პროფესიულ სტუდენტზე, კომპიუტერით, მაგიდა- სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც. B სასწავლო გარემო გამოყოფილია 3 პროგრამის 13 ჯგუფისთვის. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე დაანგარიშებულია აღნიშნული გარემოს გამტარიანობა და B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში 1 ჯგუფთან სწავლების შემთხვევაში დატვირთული იქნება საშუალოდ 5%-ით. დაწესებულებამ წარმოადგინა B გარემოს გამარობის სქემა. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად აკადემიამ 6 წლის ვადით გააფორმა მემორანდუმი ახალ კომპანიებთან, რომელთაც პრაქტიკაზე ერთდროულად შეუძლიათ ობიექტზე მიიღონ 20 სტუდენტი: 1. შ.პ.ს. „ექსპერტს ფორ სოლოუშენს“ 14.04.2025. 2. შ.პ.ს. „ეიჩესი ჯგუფი“ 13.05.2025. 3. შ.პ.ს. „ორბი ჯგუფი თბილისი“ 14.05.2025. 4. ააიპ „ ბიზნეს საქართველო“ 19.05.2025. 5. შ.პ.ს. „ბილდერ ბიის გრუპ“ 15.05.2025. 6. სასტუმრო „Golden Tulip Design Tbilisi“ 16.05.2025. 7. შ.პ.ს. „სეიფტი მენეჯმენტ გრუპ“ 20.05.2025. 8. შ.პ.ს. „ჯეო ქონსტრაქშენი“ 16.05.2025. სასწავლო დაწესებულების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, სათანადოდ პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს და შეესაბამება დაგეგმილ მსმენელთა რაოდენობას.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა რეალისტურად ასახავს დაგეგმილ ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 330-ით. **(დანართი 2)**

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "აღმზრდელი“, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 140-ით **(დანართი 3).**

მეხუთე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ადმინისტრაციული სერვისები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მოისწრაფიშვილმა საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით: 2025 წლის 7 ივლისს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N674623 ბრძანების საფუძველზე, განახორციელა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისების“ შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან. ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გამართეს ონლაინ სამუშაო შეხვედრა და შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი.

შეთანხმებული გეგმის მიხედვით, 7 ივლისს ექსპერტებმა შეაფასეს ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა და დამატებით წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პრაქტიკის ობიექტების პირებთან.

ექსპერტებმა, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი საუკეთესო გამოცდილება: დაწესებულებაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ციფრული პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას, მართვას, განხორციელებასა და მონიტორინგს. აღნიშნული პლატფორმა აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს, სისტემა უზრუნველყოფს უკუკავშირის სისწრაფეს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, კონფიდენციალობის დაცვის მაღალ ხარისხსა და შეფასების მტკიცებულებათა სისტემატიზაციას, რაც ექსპერტებმა მიიჩნიეს კარგ პრაქტიკად.
ექსპერტის განცხადებით, პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის საჭიროებებისა და პროფესიული სტანდარტის გათვალისწინებით. წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც ასახავს მოთხოვნას პროგრამაზე და დასაქმების პერსპექტივებს. პროგრამის მიზანი და სწავლების შედეგები თანხვედრაშია ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და პროფესიულ სტანდარტთან. შემუშავებულია შესაბამისი სასწავლო გეგმა, მოდულები, შეფასების მეთოდოლოგია და მასალები. დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები. პერსონალი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებით. პრაქტიკის განხორციელება უზრუნველყოფილია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების მეშვეობით. ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, მათ შორის – შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აქვს სასწავლო გარემო A და B (მის: ქ. თბილისი, წერონიძის ქ. N208. AC გარემო ინტეგრირებული (მეცნიერება და ტექნოლოგიები) მოდულებისთვის, A გარემო ინტეგრირებული მოდულების(გარდა ინტეგრირებული მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიებისა) განხორციელებისათვის, სპორტის მოდულის გარემო (მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის N28). აუდიტორიები შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილია. აუდიტორიებში განთავსებულია მაგიდები და სკამები, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლებისთვის; ტელევიზორები დემონსტრირების ციფრული საშუალება; დაფები, თემატური თვალსაჩინოებები და სხვ. აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მისი ადმინისტრირებას. პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა, აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რასაც გამოიყენებენ სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის. დაწესებულებას გაცნობითი პრაქტიკის და საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად მემორანდუმები აქვთ გაფორმებული პარტნიორ ორგანიზაციებთან. ხელშეკრულების თანახმად თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს მომსახურება გაუწიოს აკადემიის 90 პროფესიულ სტუდენტს. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 2 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების გატანა. 1. გაცნობითი პრაქტიკა და 2. საწარმოო პრაქტიკა.

დაწესებულებაში მოქმედებს შიდა შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. არსებობს სტუდენტების, მასწავლებლების და პარტნიორი

ობიექტებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმები. ცვლილებების ინიცირების პროცესი დოკუმენტურად რეგულირდება და ინტეგრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებზე მორგებული მეთოდებით. გამოიყენება კოოპერაციული სწავლება და აქტიური სწავლების მიდგომები. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, მოიცავს მიმდინარე და საბოლოო შეფასებებს. უზრუნველყოფილია ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა. პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვა და შეფასება ხორციელდება პარტნიორ ობიექტებთან შეთანხმებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დოკუმენტაცია და ვიზიტისას მოპოვებული მტკიცებულებები ადასტურებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების და პროცესების რეალურ მზადყოფნას. შეფასება ყველა კომპონენტზე არის - „შეესაბამება“. შენიშვნები ან რეკომენდაციები არ გაცემულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ადმინისტრაციული სერვისები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ **(დანართი 4).**

მეექვსე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "Front-end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2025 წლის 8 ივლისს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №N674609 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გამართეს ონლაინ შეხვედრა და შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები, განიხილა დამატებით წარდგენილი დოკუმენტაცია და გაესაუბრა ადმინისტრაციისა და პროგრამაში ჩართული მხარეების წარმომადგენლებს.

დასკვნის მიხედვით, პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის ყველა კრიტერიუმს. არ გამოვლენილა არცერთი ხარვეზი, არ გაცემულა შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციები. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები.

პროგრამა პასუხობს, კოლეჯის მისიასა და სტრატეგიას. პროგრამის დამტკიცების პროცესში ჩართული იყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც შექმნა შესაბამისი მოდულები, განსაზღვრა საჭირო რესურსები და უზრუნველყო პროგრამის ადაპტაცია.

ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აქვს სასწავლო გარემო A და B და AC გარემო ინტეგრირებული (მეცნიერება და ტექნოლოგიები) მოდულებისთვის, A გარემო ინტეგრირებული მოდულების (გარდა ინტეგრირებული მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიებისა) განხორციელებისათვის, B კი პროფესიული მოდულებისთვის, ასევე, დაწესებულებას აქვს სპორტის მოდულის გარემო (მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის N28). სასწავლო გარემოები შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილია. აუდიტორიებში განთავსებულია მაგიდები და სკამები, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლებისთვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება; დაფები, თემატური თვალსაჩინოებები და სხვ. აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მისი ადმინისტრირებას. პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა, აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რასაც გამოიყენებენ სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 90 გათვალისწინებით.

ადამიანური რესურსი მაღალი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლებისგან შედგება, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. განსაზღვრულია საათობრივი დატვირთვები, უზრუნველყოფილია პროგრამის მდგრადი ფუნქციონირება. სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, დარგზე მორგებული ტექნოლოგიები და ინტეგრირებული მიდგომები. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების ადაპტირებას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შეფასების სისტემა ვალიდური, სამართლიანი და გამჭვირვალეა. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას, შენახვას და რეგულარულ გაუმჯობესებას. არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმები და მტკიცებულებათა შენახვის მკაფიო წესები. შეფასების შედეგები გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარების მხარდასაჭერად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "Front-end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ **(დანართი 5).**

მეშვიდე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ტვირთების ექსპედირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ბუთხუზმა საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2025 წლის 16 ივნისის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული პროგრამის „ტვირთების ექსპედირების“ (მეოთხე დონე) შეფასება მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. 2025 წლის 7 ივლისს ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისამართებზე: ც. დადიანის N28 და წერონისის ქ. N208. ვიზიტამდე მათ შეისწავლეს დაწესებულების განაცხადი და დოკუმენტაცია, შეიმუშავეს ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის და პროგრამის ხელმძღვანელებს, მასწავლებლებსა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. ასევე დეტალურად შეისწავლეს სასწავლო რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და საქმიანი ატმოსფეროში.

პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის ყველა კრიტერიუმს. არ დაფიქსირებულა ხარვეზები და არ გაცემულა რეკომენდაციები. დასკვნის მიხედვით, პროგრამა მიზნობრივად ეხმიანება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და შეესაბამება კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. წარმოდგენილი პროგრამა მომზადებულია შესაბამისი მეთოდოლოგიით, საფუძვლად უდევს შრომის ბაზრის კვლევა და დასაბუთებული მიზნობრიობა. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს როგორც ინტეგრირებულ, ისე არაინტეგრირებულ ფორმებს, პროგრამაში წარმოდგენილია ზოგადი და პროფესიული მოდულები, რაც პასუხობს საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას. სასწავლო პროცესისთვის გამოყენებულია რამდენიმე სრულად აღჭურვილი აუდიტორია წერონისის და დადიანის ქუჩებზე, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლისა და სტუდენტების სამუშაო ადგილები, კომპიუტერები სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, დემონსტრირების საშუალებები და დაფები. ზოგადი მოდულებისთვის გამოყოფილია სპეციალური ინტეგრირებული სივრცეები, რომლებიც მოქნილი განრიგით გამოიყენება სხვადასხვა პროგრამისა და ჯგუფისთვის. ასევე უზრუნველყოფილია შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა.

პროგრამის პრაქტიკული ნაწილის სწავლება მიმდინარეობს პარტნიორ ორგანიზაციებში, რომლებიც მზად არიან ეტაპობრივად მიიღონ საერთო ჯამში 130-მდე პროფესიული სტუდენტი. დამატებით, გათვალისწინებულია მოდულების დისტანციური სწავლის შესაძლებლობაც, რისთვისაც კოლეჯს შეძენილი აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმა. დაგეგმილია 2 წლის განმავლობაში ოთხი ჯგუფის მიღება (სულ 112 პროფესიული სტუდენტი). არსებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და პარტნიორთა მხარდაჭერა სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.Top of FormBottom of Form პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები. მათ გააჩნიათ როგორც საგანმანათლებლო, ისე პრაქტიკული კომპეტენცია, აქვთ გავლილი ტრენინგები და მონაწილეობა პროგრამის ადაპტაციასა და განვითარებაში. მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას. პროგრამას ჰყავს კომპეტენტური ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციულ პროცესებში. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება ეფუძნება ინდივიდუალური საჭიროებების

გათვალისწინებას. კოლეჯს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და მოქმედებს ადაპტირებული მიდგომა სსსმ სტუდენტების მხარდასაჭერად.

საბოლოოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“ სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებს ხარისხიანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის "ტვირთების ექსპედირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“ **(დანართი 6).**

მერვე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2025 წლის 18 ივნისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფმა შეაფასა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საკითხი. ვიზიტი 2025 წლის 11 ივლისს განხორციელდა საჩხერის ლოკაციაზე.

ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს განაცხადი და დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბეს ვიზიტის დღის წესრიგი და ადგილზე მოითხოვეს დამატებითი მტკიცებულებები. განიხილეს მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები, ჩატარდა ინტერვიუები კოლეჯის პერსონალთან, პარტნიორებთან და სტუდენტებთან. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით და შეფასების შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის შინაარსი და მიზნები პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ქვეყნის მასშტაბით უსაფრთხოების სპეციალისტებზე გაზრდილი საჭიროებიდან გამომდინარე. არსებული ზღვრული რაოდენობა – 50 სტუდენტი – არ აკმაყოფილებს რეალურ მოთხოვნას, რადგან 2024 წლის მონაცემებით პროგრამაზე დარეგისტრირდა 172 მსურველი. კოლეჯს აქვს მზაობა გაიზარდოს ზღვრული რაოდენობა 120 სტუდენტამდე, რაც ორ ნაკადად მიღების საშუალებას იძლევა.დაწესებულებას გააჩნია ახალი, სპეციალურად აშენებული და სრულად აღჭურვილი სასწავლო ჰაბი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. განთავსებულია შესაბამისი აუდიტორიები კომპიუტერული და დემონსტრაციის საშუალებებით. დადასტურდა, რომ მატერიალური რესურსები, პრაქტიკის მემორანდუმები და სასწავლო სივრცეები სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფუნქციონირებას. აკადემიას გააჩნია სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, რაც რეგიონებიდან პროფესიული სტუდენტების მიღებას უწყობს ხელს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 12 ასწავლის ზოგად, ხოლო 22 პროფესიულ მოდულებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია დადასტურდა დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით. ასევე შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული კომპეტენცია და მისი აქტიური ჩართულობა როგორც საგანმანათლებლო პროცესში, ისე პერსონალის შერჩევასა და პროგრამის განვითარებაში.

დაწესებულებას გააჩნია მკაფიო პროცედურები და მზაობა სსსმ და შშმ სტუდენტების ჩართვისთვის. არსებობს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმი, ადაპტირებული რესურსები, ტექნიკური საშუალებები და მხარდაჭერის სერვისები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას, მათ შორის ორ სახელმძღვანელოს, რომელიც დაწესებულების მიერ სპეციალურად მომზადდა პროგრამისთვის. საგანმანათლებლო რესურსები გადამოწმდა და დადასტურდა მათი აქტიური გამოყენება.

ასევე წარმოდგენილია ფინანსური ბიუჯეტი, რომელიც ადასტურებს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი რენტაბელობის ზღვარზე დაყრდნობით აჩვენებს, რომ დამატებითი ჯგუფების მიღება შესაძლებელია გონივრული ხარჯვითი პოლიტიკის ფარგლებში.

დასკვნის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებს. არ გაცემულა არც ერთი რეკომენდაცია და არ დაფიქსირებულა ხარვეზი. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120-ით **(დანართი 7).**

მეცხრე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2025 წლის 18 ივნისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 9 ივლისს მოინახულა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საჩხერის ლოკაცია პროფესიული პროგრამის *„ფარმაცია (სააფთიაქო)“* სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საკითხის შესაფასებლად. ვიზიტამდე გაანალიზდა დაწესებულების განაცხადი და დოკუმენტაცია, ხოლო ადგილზე შეფასდა მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და სასწავლო გარემო. ჩატარდა ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, რექტორთან, პარტნიორებთან და სტუდენტებთან. პროცესი წარიმართა თანამშრომლობით და ხარვეზი არ გამოვლენილა.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, ქართულ ენაზე და მინიჭებული აქვს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია. არსებული ზღვრული რაოდენობა – 60 სტუდენტი – გაიზარდა 120-მდე. სასწავლო გარემო მოიცავს სრულად აღჭურვილ ლაბორატორიებს, იმიტირებულ აფთიაქს და უსაფრთხოების ყველა მოთხოვნის შესაბამის ინფრასტრუქტურას. პრაქტიკული სწავლება ხორციელდება PSP-ს პარტნიორ აფთიაქებში, რაც უზრუნველყოფს 120 სტუდენტის პარალელურ განაწილებას.

დაწესებულებას ჰყავს 31 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის ზოგადი და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები. ყველა მათგანი აკმაყოფილებს სტანდარტებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. პროგრამას ჰყავს კომპეტენტური ხელმძღვანელები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პროცესების მართვასა და განვითარებაში.

დამტკიცებულია საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით. გათვალისწინებულია სსსმ და შშმ სტუდენტებისათვის ადაპტირებული სასწავლო გარემო და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობა. პროგრამა ფინანსურად მდგრადია — ბიუჯეტი უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრირებას, ისე ყველა აუცილებელ ხარჯს გაზრდილი კონტიგენტის პირობებში. პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს. არ გაცემულა რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ფარმაცია (სააფთიაქო)“, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120-ით (ქ. საჩხერე) **(დანართი 8).**

მეათე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2025 წლის 10 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საჩხერის ლოკაციაზე შეაფასა პროფესიული პროგრამის *„ინფორმაციის ტექნოლოგია“* სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საკითხი. ვიზიტამდე გაანალიზდა განაცხადი და დოკუმენტაცია, ადგილზე კი დამატებით იქნა შესწავლილი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები. ჩატარდა ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და პრაქტიკის პარტნიორებთან. შეფასება მიმდინარეობდა სრულყოფილად და პროცესი წარიმართა სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით. მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, აკადემიამ მოითხოვა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 30-დან 60-მდე. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით: კომპიუტერებით, პრინტერებით, პროექტორით, დაფებით, ლიცენზირებული პროგრამებითა და სერვისებით. არსებობს ორი სასწავლო სივრცე, თითოეული 30 სტუდენტზე გათვლით. პრაქტიკის კომპონენტი უზრუნველყოფილია ადგილობრივ საჯარო სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმებით, რაც ერთდროულად 70 სტუდენტის განთავსების საშუალებას იძლევა.

პროგრამაში ჩართულია 16 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომლებიც რეალურად არიან გადანაწილებული მოდულებზე. მათთან ინტერვიუებმა და პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა შესაბამისი კომპეტენციები და დატვირთვის მართვის შესაძლებლობა. პროგრამას ჰყავს გამოცდილი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია როგორც ადმინისტრირებაში, ასევე, პროცესის ხარისხის მართვაში. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ რესურსებს და აღჭურვილია საჭირო ტექნიკით. ელექტრონული რესურსები განთავსებულია ვებგვერდზე და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს რესურსებზე წვდომას სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის. დაწესებულებას გააჩნია რეგულაციები და მზაობა სსსმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით განათლების ხელმისაწვდომობისთვის. აღწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ადაპტირებული რესურსების გამოყენების პროცედურები. ამჟამად პროგრამაში სწავლობს ორი სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტი, რომლებსაც არ დასჭირვებიათ ინდივიდუალური გეგმა. წარმოდგენილი ბიუჯეტი ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას - ხარჯები გათვლილია 15 სტუდენტზე (რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 15 სტუდენტს) და მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს, მათ შორის ადმინისტრირებას, მასწავლებელთა ანაზღაურებას, რესურსების უზრუნველყოფასა და სტუდენტთა მხარდაჭერას.

პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია", გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 9).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი; გ. ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208 ქ. თბილისი, გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	330
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წერონისის ქ. No208; ქ. თბილისი, გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის N28; წერონისის ქ. N 208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის N28
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის N28; წერონისის ქ. N 208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	112
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	112
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე ივანე გომართელის N50ა/52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე ივანე გომართელის N50ა/52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 9

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე ივანე გომართელის N50ა/52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76